ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 171

"24" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრო/რაიონი, კორპუსი №19-ში (ნაკვ. 07/029, საკადასტრო კოდი: №01.19.20.007.029.01.015) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონი, კორპუს №19-ში, (ნაკვეთი 07/029, საკადასტრო კოდი: №01.19.20.007.029.01.015) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის №20.777.971 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონი, კორპუს №19-ში, მე-4 სართულზე მდებარე 87.95 კვ.მ. ფართის უძრავი ქონების (ნაკვეთი 07/029, საკადასტრო კოდი: №01.19.20.007.029.01.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ანნა მარტაშვილისთვის (პ/ნ: 01011072480) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე